

შპს NOVAMED GEORGIA

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2-3

სრული შემოსავლის ანგარიშგება

4-5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

6-7

განმარტებითი შენიშვნები

8-20

შპს NOVAMED GEORGIA

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	12/31/2019	12/31/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	132,785	141,085
არამატერიალური აქტივი	5	1,605	2,076
		134,391	143,161
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	285,990	232,893
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1,766,049	1,976,230
მარაგები	8	828,678	609,706
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7	10,210	11,904
სხვა მიმდინარე აქტივები		10,965	676
		2,901,892	2,831,409
მთლიანი აქტივები		3,036,282	2,974,570
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		30	30
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,654,498	2,039,147
		2,654,528	2,039,177
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	0
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	378,565	687,255
მიღებული ავანსები		3,188	0
საგადასახადო ვალდებულებები	10	0	2,759
გადასახდელი დივიდენდი		0	245,379
		381,753	935,393
მთლიანი ვალდებულებები		381,753	935,393
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,036,282	2,974,570

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი:

შპს NOVAMED GEORGIA


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	12/31/2019	12/31/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	132,785	141,085
არამატერიალური აქტივი	5	1,605	2,076
		134,391	143,161
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	285,990	232,893
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1,766,049	1,976,230
მარაგები	8	828,678	609,706
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7	10,210	11,904
სხვა მიმდინარე აქტივები		10,965	676
		2,901,892	2,831,409
მთლიანი აქტივები		3,036,282	2,974,570
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		30	30
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,654,498	2,039,147
		2,654,528	2,039,177
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	0
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	378,565	687,255
მიღებული ავანსები		3,188	0
საგადასახადო ვალდებულებები	10	0	2,759
გადასახდელი დივიდენდი		0	245,379
		381,753	935,393
მთლიანი ვალდებულებები		381,753	935,393
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,036,282	2,974,570

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი:




შპს NOVAMED GEORGIA

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	11	4,173,762	3,831,778
თვითღირებულება	8	(2,746,469)	(2,543,112)
საერთო მოგება		1,427,293	1,288,667
სხვა შემოსავლები	12	234	1,681
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(138,677)	(132,200)
მიწოდების დანახარჯები	13	(54,991)	(63,705)
შემოსულობა/ზარალი ძირ.საშუალებების რეალიზაციიდან		(1,007)	(111)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(45,020)	(15,183)
სხვა ხარჯები	15	(33,135)	(45,179)
საოპერაციო მოგება		1,154,696	1,033,969
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა			-
მოგება დაბეგვრამდე	16	1,154,696	1,033,969
მოგების გადასახადი		(80,902)	(1,414)
პერიოდის მოგება		1,073,794	1,032,554
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1,073,794	1,032,554

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი:

შპს NOVAMED GEORGIA

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	11	4,173,762	3,831,778
თვითღირებულება	8	(2,746,469)	(2,543,112)
საერთო მოგება		1,427,293	1,288,667
სხვა შემოსავლები	12	234	1,681
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(138,677)	(132,200)
მიწოდების დანახარჯები	13	(54,991)	(63,705)
შემოსულობა/ზარალი ძირ.საშუალებების რეალიზაციიდან		(1,007)	(111)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(45,020)	(15,183)
სხვა ხარჯები	15	(33,135)	(45,179)
საოპერაციო მოგება		1,154,696	1,033,969
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა			-
მოგება დაბეგრამდე	16	1,154,696	1,033,969
მოგების გადასახადი		(80,902)	(1,414)
პერიოდის მოგება		1,073,794	1,032,554
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1,073,794	1,032,554

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი:




შპს NOVAMED GEORGIA

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუწაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	30	-	2,039,147	2,039,177
მოგება წლის ბოლოს			1,073,794	1,073,794
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,073,794	1,073,794
გაცემული დივიდენდი			(458,443)	(458,443)
აქციების გამოშვება				-
2019 წლის 31 დეკემბერი	30	-	2,654,498	2,654,528

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 17 სექტემბრს.

დირექტორი:


შპს NOVAMED GEORGIA

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	30	-	2,039,147	2,039,177
მოგება წლის ბოლოს			1,073,794	1,073,794
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,073,794	1,073,794
გაცემული დივიდენდი			(458,443)	(458,443)
აქციების გამოშვება				-
2019 წლის 31 დეკემბერი	30	-	2,654,498	2,654,528

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 17
სექტემბრს.

დირექტორი:



1. ზოგადი ინფორმაცია

NOVAMED GEORGIA შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებული საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ., N4, ბ. 2, ფაქტიური მისამართი: თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ლუბლიანას ქუჩა N46. მისი ძირითადი საქმიანობაა ინტერვენციული კარდიოლოგიური სახარჯი მასალების რეალიზაცია.

კომპანიის რეგისტრაციის თარიღი - 2011 წლის 5 მაისი.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი - გიორგი მარგველაშვილი

ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი - გიორგი მარგველაშვილი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადის ხარჯის გაანგარიშება ეფუძნება პარტნიორებზე მოგების განაწილებას.

მოგებს გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გაწეულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კადეგორიაში.

მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს სალდირებულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	50 წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-8 წელი
სატრანსპორტო საშუალება	10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ინტელექტუალურ საკუთრებას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი

გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით. შეუძლებელია არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა. შესაბამისად მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ შესაძლებელია აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულების საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება ყოველი მიმდინარე თვის 25 რიცხვში.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია, მაღალ ლიკვიდურია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძვლიან ექვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

შპს NOVAMED GEORGIA

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	ავტო და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2018	133,000	29,592	10,161	172,753
შემოსვლა		-	-	-
გადაფასება	-			-
გასვლა	-	(1,007)	-	(1,007)
31 დეკემბერი 2018	133,000	28,586	10,161	171,747
ცვეთა და გაუფასურება				
31 დეკემბერი 2018	(10,147)	(19,180)	(2,342)	(31,669)
პერიოდის ცვეთა	(2,394)	(2,557)	(2,342)	(7,293)
გაუფასურება	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	(12,541)	(21,737)	(4,684)	(38,962)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2018	122,853	10,413	7,819	141,084
31 დეკემბერი 2019	120,459	6,849	5,477	132,785

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: წრფივი მეთოდი
- კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული იპოთეკით და გირავნობით

შპს NOVAMED GEORGIA

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

5. არამატერიალური აქტივები

	ინტელექტუალური საკუთრება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2018	3,000	1,710	4,710
შემოსვლა		-	-
გადაფასება			
გასვლა			-
31 დეკემბერი 2018	3,000	1,710	4,710
ცვეთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2018	(1,900)	(734)	(2,634)
პერიოდის ცვეთა	(300)	(171)	(471)
გაუფასურება	-		
გასვლა	-		-
31 დეკემბერი 2018	(2,200)	(905)	(3,105)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2018	1,100	976	2,076
31 დეკემბერი 2019	800	805	1,605

- არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით.
- არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში.

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები

2019	2018
2,907	131
2,907	131

შპს NOVAMED GEORGIA

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2019	2018
283,083	232,763
283,083	232,763

7. სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო

გადახდილი ავანსები

2019	2018
1,766,049	1,976,230
10,210	11,904
1,776,259	1,988,134

კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 28,208 ლარის ოდენობით. (2018 წელს 40,692 ლარი)

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მზა პროდუქცია

2019	2018
828,678	609,706
828,678	609,706

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 2,746,469 ლარი. მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა .

მარაგები არ არის დატვირთული გირავნობით.

შპს NOVAMED GEORGIA

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

2019	2018
378,565	687,255
378,565	687,255

10. საგადასახადო ვალდებულებები

ქონების გადასახადი

მოგების გადასახადი

2019	2018
-	1,345
-	1,414
-	2,759

11. ამონაგები

საქონლის რეალიზაცია

2019	2018
4,173,762	3,831,778
4173,762	3,831,778

12. სხვა შემოსავალი

არასაოპერაციო მოგება - უსასყიდლოდ მიღებული საქონელი

2019	2018
234	1,681
234	1,681

შპს NOVAMED GEORGIA

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

13. მიწოდების დანახარჯები

შრომის ანაზღაურება

ცვეთა

ტრანსპორტირების ხარჯები

2019	2018
(47,438)	(51,125)
(2,342)	(2,342)
(5,211)	(10,238)
(54,991)	(63,705)

14. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება

საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი

2019	2018
5,933	4,740
(50,953)	(19,923)
(45,020)	(15,183)

15. სხვა ხარჯები

ჯარიმები

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი

დაუდასტურებელი ხარჯები გადასახადის ჩათვლით

2019	2018
-	(1631)
(28,208)	(40,692)
(4,927)	(2856)
(33,135)	(45,179)

შპს NOVAMED GEORGIA

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

16. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

	2019	2018
საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი	(2,746,469)	(2,543,112)
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი	(138,677)	(132,200)
მიწოდების ხარჯი	(54,991)	(63,705)
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(45,020)	(15,183)
შემოსულობა/ზარალი.ძირ.საშუალებების რეალიზაციიდან	(1007)	(111)
სხვა ხარჯი	(33,135)	(45,179)
	(3,019,300)	(2,799,491)

17. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 30 ლარს, რომელიც სრულად შევსებულია.

18. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2019	2018
შრომის ანაზღაურება მთლიანად	60,000	68,125
	60,000	68,125

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას აცნობა, რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც COVID-19-ის პანდემია. კორონარული ვირუსი (COVID-19) რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც.

მიმდინარე კრიზისი მნიშვნელოვან უარყოფითი ეკონომიკურ გავლენას ახდენს ბიზნეს სუბიექტებზე, ბევრ სფეროში შემცირდა წარმოება, მოხმარება, ვაჭრობა, სამუშაო ადგილები. გაუარსდა ადამიანების კეთილდღეობა, დაწესდა შეზღუდვები თავისუფალ გადაადგილებაზე, სხვადასხვა ღონისძიებების გამართვაზე და ა.შ

შეუძლებელია კორონავირუსის პანდემიის შემდგომი განვითარების, მისი ხანგრძლივობისა და გავლენის წინასწარ ზუსტი განჭვრეტა. ის თუ რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე (რამდენად შორს და რა სისწრაფით გავრცელდება ვირუსი), ვაქცინის შექმნის ვადებსა და ცალკეული ქვეყნების უნარსა და სურვილზე იმოქმედონ ეფექტურად. მოცემული ცვლადების გათვალისწინებით ზუსტი პროგნოზების გაკეთება, ფაქტობრივად შეუძლებელია.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი:

შპს NOVAMED GEORGIA

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

19. მოვლენები საანგარშგებო პერიოდის შემდეგ

2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას აცნობა, რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც COVID-19-ის პანდემია. კორონარული ვირუსი (COVID-19) რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც.

მიმდინარე კრიზისი მნიშვნელოვან უარყოფითი ეკონომიკურ გავლენას ახდენს ბიზნეს სუბიექტებზე, ბევრ სფეროში შემცირდა წარმოება, მოხმარება, ვაჭრობა, სამუშაო ადგილები. გაუარსდა ადამიანების კეთილდღეობა, დაწესდა შეზღუდვები თავისუფალ გადაადგილებაზე, სხვადასხვა ღონისძიებების გამართვაზე და ა.შ

შეუძლებელია კორონავირუსის პანდემიის შემდგომი განვითარების, მისი ხანგრძლივობისა და გავლენის წინასწარ ზუსტი განჭვრეტა. ის თუ რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე (რამდენად შორს და რა სისწრაფით გავრცელდება ვირუსი), ვაქცინის შექმნის ვადებსა და ცალკეული ქვეყნების უნარსა და სურვილზე იმოქმედონ ეფექტურად. მოცემული ცვლადების გათვალისწინებით ზუსტი პროგნოზების გაკეთება, ფაქტობრივად შეუძლებელია.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი:

